

## გრასის ღუზინფორმაციის ბრიფი: 17 სექტემბერი - 30 სექტემბერი

- პროპაგანდისტული წყაროების თანახმად, დასავლეთს საქართველოში სახელმწიფო გადატრიალება და ომი უნდა;
- მმართველი პარტიის გამოსმაურება ქართველი მაღალჩინოსნებისთვის დაწესებულ სანქციებსა და ივანიშვილის შესაძლო სანქცირებაზე;
- მმართველი პარტია არჩევნებში უცხოურ [დასავლურ] ჩარევაზე საუბრობს;
- პროპაგანდის თანახმად, დასავლეთი საქართველოში შემოდწევას „ღებტ პროპაგანდით“ ცდილობს;
- „ალტ-ინფოს“ შეფასებით, აშშ-ის სანქციები „ღებტ პროპაგანდაზე“ გამარჯვების ნიშანია.

## პროპაგანდისტული წყაროების თანახმად, დასავლეთს საქართველოში სახელმწიფო გადატრიალება და ომი უნდა

„ომისა და მშვიდობის,“ ასევე „მეორე ფრონტის“ შეთქმულების თეორიები განსაკუთრებით მაღალ ხარისხში ავიდა მას შემდეგ, რაც ქუჩებში მმართველი პარტიის საარჩევნო ბანერები გამოჩნდა, რომლებზეც ერთ მხარეს უკრაინის დაბომბილი ქალაქებია გამოსახული, ხოლო მეორე მხარეს - საქართველოს მშვიდი მხარეები. ბილბორდებზე დატანილია წარწერა „არა ომს! აირჩიე მშვიდობა!“ ([1](#), [2](#)). ბანერები საზოგადოების ღიდმა ნაწილმა დაგმო, მათ შორის - პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა და [უკრაინის საგარეო საქმეთა სამინისტრომ](#). კრიტიკის შემდეგ, მმართველმა პარტიამ, მასთან აფილირებულმა ჯგუფებმა და ანონიმურმა Facebook და საზოგადოების წარმომადგენელთა კონტექსტიდან ამოგლეჯილ განცხადებებს შეიცავდა, თითქოს ისინი საქართველოს ომში ჩართვისკენ მოუწოდებდნენ ([1](#), [2](#), [3](#), [4](#), [5](#)). „ეს ხალხი აღშფოთდა ჩვენს ბანერებზე,“ - წერს მამუკა მდინარაძე საკუთარ Facebook გვერდზე.

- პრემიერ-მინისტრ ირაკლი კობახიძის [განცხადებით](#), თუ ვინმე ოცნებობს საქართველოში რევოლუციაზე, არეულობასა და „მეორე ფრონტზე,“ ეს ოცნებები არ ახდება. პრემიერის შეფასებით, მაკკეინის ინსტიტუტის [ანგარიში](#), რომელიც საქართველოში NDI-ის ოფისის ყოფილმა ხელმძღვანელმა ლორა თორნტონმა გამოაქვეყნა, სწორედ ზემოაღნიშნულისკენ მოწოდებაა.
- კახა კალაძე [ინტერვიუება](#), რომ ვინც საქართველოში მშვიდობას ეწინააღმდეგება და სურვილი აქვს, ქვეყანაში „მეორე ფრონტი“ გაჩნდეს - იქნება ამერიკელი, ევროპელი, რუსი, თუ სხვა - ყველა მტერია.
- მმართველი პარტიის რადიკალური ფრთის, მოძრაობა „ხალხის ძალის“ ლიდერისა და „ქართული ოცნების“ პარტიული სიის მე-11 ნომრის, სოზარ სუბარის [შეფასებით](#), ბოლო ორწელიწად-ნახევრის განმავლობაში, საქართველოს მიმართ ყველა განცხადება, ანგარიში, ქმედება და მოწოდება „დაუძინებელი მეგობრებისგან“ მიმართულია [ქვეყნის რამენაირად ომში ჩაბმისკენ](#), რათა რუსეთის წინააღმდეგ „მეორე ფრონტი“ გახსნას.
- მმართველ პარტიასთან აფილირებულმა მოძრაობამ „ერთიანი ნეიტრალური საქართველო“ გამოაქვეყნა [განცხადება](#), რომელშიც, საქართველოში ევროკავშირის ელჩს,

პაველ ჰერჩინსკისა და მაკკეინის ინსტიტუტს **სახელმწიფო გადატრიალების მომზადებაში** ადანაშაულებს. 20 სექტემბერს, ჰერჩინსკიმ გამოთქვა იმედი, რომ არჩევნები სამართლიანი, თავისუფალი და მშვიდობიანი იქნება. ევროკავშირის ელჩმა საქართველოში განმარტა, რომ თუ არჩევნები სათანადოდ არ შეფასდება, ევროკავშირს გარკვეული ზომების მიღება შეუძლია, მათ შორის - სანქციების. „ერთიანი ნეიტრალური საქართველოს“ თანახმად, ევროკავშირი და აშშ ხვდებიან, რომ „კოლექტიური ნაც-მოძრაობა“ ვერ გაიმარჯვებს; ასე რომ, ისინი **წინასწარ ამზადებენ ნიადაგს არჩევნების არასამართლიანად და არალეგიტიმურად მოცხადებისთვის**. ამასთანავე, მაკკეინის ინსტიტუტის ანგარიში საქართველოში გადატრიალებისა და „აგენტურული ხელისუფლების“ მოყვანის გეგმას შეიცავს. განცხადების მიხედვით, ანგარიშის ავტორი, ლორა თორნტონი, წლების განმავლობაში ეწეოდა ქვეყნის საწინააღმდეგო საქმიანობას - მანიპულირებდა საზოგადოებრივ აზრზე, აქვეყნებდა ცრუ კვლევებსა და ანგარიშებს NDI-ის სახელით. მოძრაობა საუბრობს **ეველინ ფარკასზეც**, მაკკეინის ინსტიტუტის აღმასრულებელ დირექტორზე, და მას უწოდებს „Deep State-ის ერთ-ერთ ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელს,“ რომელიც კიევის „მაიდანის“ მომზადებასა და განხორციელებაში აქტიურად მონაწილეობდა.

- სამთავრობო არხის POSTV ეთერში, მოძრაობა „ერთიანი ნეიტრალური საქართველოს“ თანადამფუძნებელმა და „ქართული ოცნების“ ყოფილმა წევრმა ვატო შაქარიშვილმა **გაიმეტრა** კონსპირაცია, რომ **აშშ იმართება ე.წ. „დიპ სტეიტისა“ და სამხედრო ინდუსტრიის მიერ, რომელიც ომებით სარგებლობს და უკრაინაში ომსაც მიზანმიმართულად აჭიანურებს**, რათა ამ უკანასკნელის „ეკონომიკური ანექსირება“ მოახდინოს. პროპაგანდისტის შეფასებით, აშშ-ის მიზანია, საქართველოში დანიშნოს მორჩილი ხელისუფლება, რომელიც რუსეთის წინააღმდეგ „მეორე ფრონტს“ გახსნის. ამასთანავე, შაქარიშვილი ირწმუნებოდა, რომ აშშ-ს არ სურს, საქართველომ ტერიტორიული მთლიანობა მშვიდობიანი გზებით აღიდგინოს, ვინაიდან ეს გააქრობს რუსეთის წინააღმდეგ ომის დაწყების შანსებს, რაც ეწინააღმდეგება „დიპ სტეიტისა“ და სამხედრო ინდუსტრიის ინტერესებს, ისარგებლოს საქართველოს განადგურებით.
- ტელეკომპანია „იმედის“ ეთერში, ნიკოლოზ გაბელიას, საზოგადოება „ქართულის“ წევრის **განცხადებით**, აშშ-ის ქმედებები არანორმალურია. ნიკოლოზ გაბელიას შეფასებით, ყველაფერი კეთდება, რათა საქართველოს **ხელისუფლებაში მოყვანილ იქნას ხალხი, ვინც ყველაფერზე ხელს მოაწერს და „მეორე ფრონტს“ გახსნის**.
- არტემ დმიტრუკის (უკრაინის რადას ყოფილი, ზელენსკის პარტია „ხალხის მსახურიდან“ გარიცხული დეპუტატი) ფართოდ გავრცელებული **განცხადება** ტელეკომპანია „იმედმაც“ გააჟღერა. გავრცელებულ ვიდეოში დმიტრუკი ამბობს, რომ ქართველ ხალხს უცხოური ძალების მიერ მოწყობილი „მაიდანის რევოლუციის“ ეშინიათ და განმარტავს, რომ აღნიშნული სცენარი კარგად დაგეგმილი და გამოცდილია. „მათ არ აინტერესებთ ქართველების აზრი,“ - დმიტრუკის თქმით, ქართველებსა და უკრაინელებს მოტყუებით მთავაგონებდნენ, რომ დასავლეთის გარეშე ვერ გადარჩებოდნენ. „**საქართველო ძლიერი, დამოუკიდებელი, მართლმადიდებელი ქვეყანაა... ერთმა არასწორმა ნაბიჯმა შეიძლება მოიტანოს კატასტროფა, 1 ნაბიჯია „მაიდანამდე“ და შემდეგ უკვე ომია,**“ - აღნიშნა უკრაინის რადას დეპუტატმა. სამხედრო ოფიცერსა და სამართალდამცავზე თავდასხმაში დმიტრუკის ეჭმიტანილად ცნობამდე ერთი დღით ადრე, 24 აგვისტოს,

რადას ყოფილი დეპუტატი ლონდონში [ჩავიდა](#). მიუხედავად გამომძიებელი ჟურნალისტების [დასკვნისა](#), რომ დმიტრუკის ლონდონში გაქცევა დიდი ხნით ადრე იყო დაგეგმილი, რადას ყოფილი დეპუტატი ირწმუნება, რომ გაქცევის გადაწყვეტილება ნაჩქარევად მიიღო, რადგან მის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრებოდა. ლონდონში ჩასვლის შემდეგ, ყოფილი დეპუტატი აქტიურად აქვეყნებს ვიდეოებს და სტუმრობს სხვა არხებს, პრორუსული ნარატივების გასაჟღერებლად.

- სამთავრობო არხმა POSTV-მ მოამზადა და დაარეკლამა არაერთი შეთქმულების თეორიის შემცველი დოკუმენტური ფილმი სახელწოდებით „ტრამპი ომის პარტიის წინააღმდეგ,“ რომელშიც არხი ირწმუნება, რომ აშშ-ს „დიპ სტიეტი“ და სამხედრო ინდუსტრია, ანუ „გლობალური ომის პარტია“, აკონტროლებენ. ნარატივის გასამყარებლად, ფილმი შეიცავს რობერტ კენედი უმცროსის, ტაკერ კარლსონის, ვივეკ რამასვამის, ჯეფრი საქსისა და სხვა კონსერვატიული განწყობების მქონე პირების განცხადებებს. ნარატივის თანახმად, **„დიპ სტიეტი,“ რომელიც ფინანსურად და პოლიტიკურად სარგებლობს ომებით,** აკონტროლებს ჯო ბაიდენს, კამალა ჰარისსა და დემოკრატიულ პარტიას. ამასთანავე, მოპოვებული ფინანსებით, **„დიპ სტიეტი“ „ღებტ პროპაგანდას“ მსოფლიოს მასშტაბით ავრცელებს,** რათა სახელმწიფოებს ძირი გამოუთხაროს. არხი ირწმუნება, რომ ვინაიდან დონალდ ტრამპი ეწინააღმდეგება როგორც ომს, ისე „ღებტ პროპაგანდას,“ „ომის პარტიამ“ სწორედ ამიტომ დაგეგმა საპრეზიდენტო კანდიდატის წინააღმდეგ მკვლელობის მცდელობა.
- პაველ ჰერჩინსკის [განცხადება მანიპულაციურად](#) გააანალიზა სამთავრობო ექსპერტმა, ედიშერ გვენეტაძემაც. პრორუსული ტელეკომპანია „სეზონის“ ეთერში, გვენეტაძის მტკიცებით, **ევროკავშირი პირდაპირ გვეუბნება, რომ საპარლამენტო არჩევნებს არალეგიტიმურად აღიარებს.** ამასთანავე, ის ირწმუნებოდა, რომ „ფერადი რევოლუციები“ უკრაინაში, საქართველოსა და ყირგიზეთში დასავლეთმა მოაწყო, ხოლო ახლა ეს უკანასკნელი „ღებტ რევოლუციას“ გეგმავს.
- ანტიდასავლურ ვებგვერდზე „საქართველო უპირველეს ყოვლისა!“ დავით ქართველიშვილმა, „ხალხის ძალის“ წევრმა, გამოაქვეყნა სტატია „აგენტურული ჯანყის მოლოდინში.“ ქართველიშვილის [მტკიცებით,](#) **დასავლეთის სახელით მოქმედი აგენტები ქართველებს „ბელგრადის“ ან „ლიბიის“ სცენარების გამეორებით ემუქრებიან,** რადგან საქართველო სუვერენულ და ეროვნულ პოზიციებს იცავს.
- ზემოაღნიშნულ პლატფორმაზე გამოქვეყნდა ოტავას უნივერსიტეტის უკრაინელი პროფესორის, ივან კაჩანოვსკის, ციტატაც, რომლის [თანახმადაც,](#) თუ საქართველოში ძალადობრივი პროტესტი გაგრძელდება, ეს რუსეთის ჩართულობის შესაძლებლობას გაზრდის, რის შემდეგაც ომი გარდაუვალი იქნება. **საქართველოს მოქმედი ხელისუფლება დასავლურ ძალებთან დაპირისპირებას ცდილობს, რადგან მათ მოსკოვის წინააღმდეგ საქართველოს გამოყენება აინტერესებთ.**
- პრორუსული „საქინფორმის“ მთავარი რედაქტორის [შეფასებით,](#) მმართველი პარტიის მთავარი ოპონენტები არა ქართული ოპოზიციური პარტიები, არამედ აშშ და ევროკავშირი არიან. მათი მიზანი სამხრეთ კავკასიის რეგიონის ულტრა-ანტირუსულად ქცევაა, რათა 1. რუსეთს გადაუკეტოს საქართველოს ტერიტორიით გამავალი სატრანსპორტო და

ენერგეტიკული სატრანზიტო მაგისტრალები, 2. შექმნას დაძაბულობა რუსეთის სამხრეთ საზღვართან და 3. **საქართველო ჩართოს რუსეთის წინააღმდეგ ომში.**

- პრორუსულ „GeWorld-ზე“ გამოქვეყნებული [სტატიის თანახმად](#), დასავლეთი საქართველოს არჩევნების არალეგიტიმურად გამოცხადებით ემუქრება, თუ „ქართული ოცნება“ გაიმარჯვებს. **„დასავლელი მამები“ არჩევნების შედეგებს არ გვიღიარებენ**, როგორც არ აღიარეს ბელარუსში ჩატარებული არჩევნები, სადაც დასავლეთმა სახელმწიფო გადატრიალება მოაწყო, თუმცა ლუკაშენკოს ხელისუფლების წინააღმდეგ დამარცხდა.
- პრორუსული პარტიის „სოლიდარობა მშვიდობისთვის“ გენერალური მდივნის [განცხადებით](#), **„ქართულმა ოცნებამ“ უნდა ჩაახშოს რევოლუციის ნებისმიერი მცდელობა. ბელარუსი, სირია და ვენესუელა მაგალითებია, თუ როგორ გამოიყენა ხელისუფლებამ კანონიერი ძალა, ადეკვატა რევოლუციები.** „ქართული ოცნება“ მზად უნდა იყოს დასავლეთთან ურთიერთობის გასაწყვეტად და ქვეყნის სუვერენიტეტის დასაცავად. თუმცა, თუ ვერ მოახერხებს ამას, საქართველო, როგორც ქვეყანა, საბოლოოდ დაიშლება.
- ყოფილი მაღალი რანგის ოფიცერი, რომელიც 2008 წლის ომში რუსეთისთვის ჯაშუშობაში იყო მსჯავრდადებული, ტრისტან წითელაშვილი „ალტ-ინფოს“ ეთერში [ინტერვიუბოდა](#), რომ **აშშ-ს საქართველოში სახელმწიფო გადატრიალებასა და ქაოსის მოწყობას გეგმავს.** მისი შეფასებით, აპრილისა და მაისის საპროტესტო გამოსვლებში, აშშ დემონსტრანტთა მსხვერპლად გამოყენებას აპირებდა, რათა უფრო მეტი ადამიანისთვის ებიძგებინა ქუჩაში გამოსვლისკენ. თუმცა საპოლიციო ძალების რაციონალური ქმედებებიდან გამომდინარე, ზემოაღნიშნული გეგმა ვერ განხორციელდა. ამასთანავე, ვაშინგტონის გეგმისთვის ხელის შეშლის გამო, აშშ-მა დაასანქცირა მსს-ს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის ხელმძღვანელიც. ამჟამად, ამერიკელები „მაიდანის რევოლუციისთვის“ ემზადებიან, რომელსაც არჩევნების შემდეგ მოაწყობენ.
- ტელეკომპანია „სუზონის“ წამყვანის, ნიკოლოზ მჟავანაძის, [შეფასებით](#), აშშ-ის მიერ დაფინანსებული არასამთავრობოები და პოლიტიკური პარტიები დანაღმული ველი არიან, რომლის გამოყენებაც აშშ-ს ნებისმიერ დროს შეუძლია, როდესაც რევოლუციის მოწყობას გადაწყვეტს. მჟავანაძის თქმით, აშშ იშორებს ნებისმიერ მთავრობასა და ლიდერს, რომელიც მიუღებლად მიაჩნია, მაგალითად, როგორც მოიშორა მუამარ კადაფი და სადამ ჰუსეინი - თავიანთი ერების მშენებლები. მსგავსი საფრთხე ემუქრება საქართველოსაც.
- „ალტ-ინფოს“ წევრი [ინტერვიუბოდა](#), რომ **დასავლეთმა როგორც ბელარუსის არჩევნები გამოაცხადა არალეგიტიმურად, იმავეს აპირებს საქართველოშიც.** პროპაგანდისტის თქმით, ხალხი აღნიშნულ გეგმას უნდა შეეწინააღმდეგოს, რადგან თუ „ფაშისტური ხელისუფლება“ აღდგება, საქართველოსა და რუსეთის ურთიერთობა მკვეთრად გაუარესდება და „მეორე ფრონტის“ გახსნის გეგმა შესრულდება.

**მმართველი პარტიის გამოხმაურება ქართველი მაღალჩინოსნებისთვის დაწესებულ სანქციებსა და ივანიშვილის შესაძლო სანქცირებაზე**

აშშ-ის უცხოური აქტივების კონტროლის ოფისმა (OFAC) და სახაზინო დეპარტამენტმა 16 სექტემბერს [სანქციები დაუწესა](#) შსს-ის განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის უფროსს ზვიად ხარაზიშვილსა და მის მოადგილეს, მილერი ლაგაზაურს, ასევე პრორუსულ ჯგუფ „კონსერვატიული მოძრაობა/ალტ-ინფოს“ ორ ლიდერს: კონსტანტინე მორგოშიასა და ზურაბ მახარაძეს. განცხადების თანახმად, აღნიშნული პირების სანქცირების მიზეზი გახდა „პასუხისმგებლობა ან თანამონაწილეობა, პირდაპირ ან ირიბად, დემოკრატიულ პროცესში მონაწილე მოქალაქეთა მშვიდობიანი შეკრებისა და მშვიდობიანი გამოხატვის თავისუფლების ძალადობრივ ჩახშობაში.“

იმავ დღეს, აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა [განაცხადა](#), რომ სავიზო შეზღუდვებს დაუწესებს სახელმწიფო და მუნიციპალურ პირებს, კორუფციულ პრაქტიკაში ჩართულ ბიზნეს ლიდერებს, დეზინფორმაციის გავრცელებისა და ძალადობრივი ექსტრემიზმის ხელშემწყობ პირებს, სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებს, რომლებიც დემონსტრანტების ცემაში მონაწილეობდნენ და პარლამენტის წევრებს, რომლებმაც გადამწყვეტი როლი ითამაშეს არადემოკრატიული კანონმდებლობის მიღებასა და სამოქალაქო საზოგადოების შეზღუდვაში.

სექტემბერს, „ამერიკის ხმის“ ქართულმა რედაქციამ, აშშ-ის ადმინისტრაციასთან დაახლოებული წყაროების ანონიმურ ცნობებზე დაყრდნობით, [განაცხადა](#), რომ აშშ-მა „ქართული ოცნების“ საპატიო თავმჯდომარე და პარტიის დამფუძნებელ ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ სანქციების პაკეტი შეიმუშავა და მის უახლოეს მომავალში დაწესებას განიხილავს. სანქციებმა შესაძლოა გამოიწვიოს ივანიშვილის იზოლაცია გლობალური ფინანსური სისტემებიდან.

„ქართული ოცნების“ ლიდერებმა ზემოაღნიშნული სანქციები მმართველი პარტიის მიმართ „მუქარად და ზეწოლად“ საპარლამენტო არჩევნებში ჩარევის მცდელობად წარმოაჩინეს.

- პრემიერ-მინისტრ ირაკლი კობახიძის [განცხადებით](#), აშშ-ის პრეზიდენტი ჯო ბაიდენი არ მონაწილეობს გადაწყვეტილებების მიღების პროცესში და „**ბაიდენი საქმის კურსშიც კი არაა ამ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით,**“ რადგან აშშ-ს „**ოლიგარქიული პრობლემები აქვს.**“ ამასთანავე, კობახიძემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ქართულ-ამერიკულ ურთიერთობებში, ბოლო ოთხი წელია, სერიოზული სირთულეებია, რასაც მეტწილად წინა ელჩის, კელი დეგნანის, საქმიანობა განაპირობებდა. „როდესაც სანქციები უწესდებათ მაღალი რანგის პოლიციელებს, ადამიანებს, რომლებიც აგვისტოს ომში იბრძოდნენ, ეს არის ჩვენი სახელმწიფოს უკიდურესი შეურაცხყოფა,“ - განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.
- მორიგ განცხადებაში, კობახიძე [ირწმუნებოდა](#), რომ ივანიშვილის სანქცირებაზე საუბარი **მასზე გავლენის მოხდენის წარუმატებელი მცდელობაა, რათა გადადგას ნაბიჯი, რომელიც ეროვნულ ინტერესებს ეწინააღმდეგება.** კობახიძემ გაიხსენა ივანიშვილის დავაც Credit Suisse-თან და [განაცხადა](#), რომ მმართველი პარტიის საპატიო თავმჯდომარე ისედაც არის დე ფაქტო სანქციების ქვეშ.
- პარლამენტის თავმჯდომარის, შალვა პაპუაშვილის [შეფასებით](#), დიდი ქვეყნები ქართველ ხალხთან ყოველთვის უშვებენ მსგავს შეცდომებს, თუმცა საბოლოოდ ხვდებიან, რომ არასწორად იქცვიან საქართველოსთან დაკავშირებით. პაპუაშვილმა სანქციები შეაფასა, როგორც „**დახურულ კარს მიღმა, სამართლიანობის ნებისმიერი სტანდარტის დარღვევით მიღებული პოლიტიკური გადაწყვეტილება**“ და დააყენა ქართული არასამთავრობო ორგანიზაციები საქართველოს სანქცირებული მოქალაქეების

უფლებებთან დაკავშირებით სიჩუმის გამო. პარლამენტის თავმჯდომარის მტკიცებით, ქართული ორგანიზაციები ჩუმად არიან, რადგან ისინი აშშ-ის ბიუჯეტიდან ფინანსდებიან და თავიანთი დამფინანსებლების გაკრიტიკების ეშინიათ.

- სანქციები „პოლიტიკური მანტაჟის მცდელობად და ზეწოლად“ [შეფასა](#) თბილისის მერმა და „ქართული ოცნების“ გენერალურმა მდივანმა კახა კალაძემაც: „ვერავინ დამამანტაჟებს სანქციებით, როდესაც ქვეყნის და ხალხის ინტერესს ეხება საქმე.“ **მმართველი პარტია არავის მისცემს შესაძლებლობას, რომ „ვიდაცის ინტერესის“ გასატარებლად, საქართველოც გამოიყენოს და გამოიწვიოს იგივე უბედურება, რაც უკრაინაში ხდება.** თბილისის მერის განცხადებით, სანქციები, კრიტიკული შეფასებები და სხვა ქმედებები დასავლეთის მხრიდან წინასწარ დალაგებული გეგმის ნაწილია, რომ მაქსიმალურად დაეხმარონ ოპოზიციას გამარჯვებაში.
- საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერის, მამუკა მდინარაძის [ტყმით](#), აშშ-ის სანქციები საბოლოოდ მხოლოდ აშშ-ის რეპუტაციას აზიანებს და აღნიშნული საკითხი უკვე სასაცილო ქმედებად იქცა.
- „თუ ქართველობის დაცვის გამო უნდა დაგვასანქცირონ, დაე, იყოს ასე! ამით ვერავინ შეგვაშინებს!“ - [აღნიშნა](#) „ქართული ოცნების“ დეპუტატმა ირაკლი ზარქუამ და განმარტა, რომ მმართველი პარტია იცავს მართლმადიდებლობას, ქართველობასა და ადათ-წესებს.
- სამთავრობო არხის, „იმედის“ ეთერში გავიდა [რეპორტაჟი](#) სახელწოდებით „დემოკრატია შერჩევით,“ რომელშიც დასავლეთი ორმაგი სტანდარტების ქონაშია დადანაშაულებული. დასავლეთს არ დაუსანქცირებია ქართველი მატალჩინოსნები მაშინ, როდესაც ქართველი ხალხი დასავლეთს სააკაშვილის რეჟიმისგან და ამ უკანასკნელის მიერ ადამიანის უფლებათა შელახვისგან დაცვას სთხოვდა. თუმცა დღეს დასავლეთი სანქციებს უწესებს საპოლიციო ძალებს და გასაჩივრების საშუალებასაც არ აძლევს. რეპორტაჟის თანახმად, **სანქციები ამოქმედდა, რადგან „კოლექტიური ნაცმოძრაობის მფარველებს“ არ სურთ, „ქართულმა ოცნებამ“ - ეროვნული ინტერესების დამცველებმა ძალამ - გაიმარჯვოს.**

### **მმართველი პარტია არჩევნებში უცხოურ [დასავლურ] ჩარევაზე საუბრობს**

აშშ-ში ვიზიტის ფარგლებში, პრემიერ-მინისტრ ირაკლი კობახიძეს ბაიდენის ადმინისტრაციამ მიწვევა გააუქმა და უარი თქვა ქართულ დელეგაციასთან შეხვედრაზე საქართველოს მთავრობის ანტიდემოკრატიული ქმედებების, დეზინფორმაციისა და უარყოფითი რიტორიკის გამო აშშ-სა და დასავლეთის მიმართ. აღნიშნული ინფორმაცია [დაადასტურა](#) აშშ-ის საელჩომ საქართველოში.

„ქართული ოცნება“ უკვე დიდი ხანია საუბრობს საპარლამენტო არჩევნებში უცხოური ჩარევის შესახებ, თუმცა რიტორიკა განსაკუთრებით გაძლიერდა აშშ-ის მიერ სანქციების გამოცხადებისა და კობახიძის მიწვევის გაუქმების შემდეგ.

- კობახიძის [შეფასებით](#), გადაწყვეტილება „არასერიოზულია“ და „ერთგვარი ჰუმანიტარული აქტია ოპოზიციის სასარგებლოდ.“
- მალვა პაპუაშვილის [განცხადებით](#), აშშ ცდილობს დაეხმაროს ქართულ ოპოზიციას, აწარმოოს „ქართული ოცნების“ საწინააღმდეგო დღის წესრიგი, რაც უცხოური ჩარევის

ერთ-ერთი სამწუხარო გამოვლინებაა. „ამდენი წელია, ამერიკის ადმინისტრაცია სტრატეგიულ პარტნიორს გვიწოდებს და სტუმარ-მასპინძლობა მაინც ესწავლათ ქართველი ხალხისგან, სულ მცირე,“ - აღნიშნა პარლამენტის თავმჯდომარემ.

- კახა კალაძე [ირწმუნებოდა](#), რომ გადაწყვეტილებას ერთადერთი ახსნა აქვს - საქართველომ ეროვნული ინტერესები წარმატებით დაიცვა, რის გამოც ახლა ზეწოლითა და მუქარით ცდილობენ ხელისუფლების შეშინებას.
- მმართველი პარტიის რადიკალური, ანტიდასავლური ფრთის, მოძრაობა „ხალხის ძალის“ წევრის, გურამ მაჭარაშვილის [თქმით](#), **კობახიძის მიწვევის გაუქმების გადაწყვეტილება ადასტურებს, თუ როგორ ეუბნებიან საქართველოს, „ომი დაიწყო ან ტრადიციები გააუქმოს.“** მაჭარაშვილის შეფასებით, უცხო ძალები არა მხოლოდ ქართულ ხელისუფლებას, არამედ ქართულ სახელმწიფოს ებრძვიან.

მმართველი პარტიის ლიდერებს უცხოურ ჩარევაზე სხვა შემთხვევებშიც უსაუბრიათ.

- „ქართული ოცნების“ საარჩევნო კამპანიის ფარგლებში რუსთავეში გამართულ ღონისძიებაზე, ივანიშვილი [საუბრობდა](#), თუ როგორ გააბრაზა „აგენტურა“ მისმა განცხადებამ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მშვიდობიანი გზებით აღდგენის შესახებ, რადგან მათი დავალებაა, საქართველო მუდმივ კონფლიქტსა და დაპირისპირებაში ამყოფონ. მან კიდევ ერთხელ გაიმეორა, რომ 2008 წლის ომი „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ დაიწყო, გარე დაკვეთების შესაბამისად.
- „ქართული ოცნების“ დეპუტატმა გივი მიქანაძემ წინასაარჩევნო პროცესში ჩარევის ფაქტებზე [ისაუბრა](#). კონკრეტულად, მიქანაძემ აღნიშნა აშშ-ის მიერ ქართველი მაღალი თანამდებობის პირებისთვის დაწესებული სანქციები, გერმანიის ბუნდესტაგის საგარეო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარის, მიხაელ როთის შეხვედრები ქართულ ოპოზიციურ პარტიებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან და კამპანია „აირჩიე ევროპა.“ ამასთანავე, ანტიკორუფციულმა ბიურომ მოითხოვა, „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ [მიჩნეულიყო](#) საარჩევნო მიზნების მქონე სუბიექტებად და ორგანიზაციაზე გავრცელებულიყო შესაბამისი რეგულაციები. მოგვიანებით, გადაწყვეტილება [გაუქმდა](#).
- კახა კალაძემ [განაცხადა](#), რომ **საარჩევნო კამპანიები და ოპოზიციური პარტიების დამლაგაერთიანება „კონკრეტულ საელჩოებში იგეგმება.“** თბილისის მერის შეფასებით, აღნიშნული ხდება იმის გამო, რომ მოწოდებების მიუხედავად, „ქართული ოცნება“ ომში არ ჩაერთო და „დღეს სისხლში გათხვრილები არ ვართ, ომსა და უბედურებაში არ ვართ.
- გარდა ამისა, კალაძე [ირწმუნებოდა](#), რომ დასავლეთი კრიტიკულ განცხადებებსა და მუქარებს სანქციების შესახებ განსაკუთრებით არჩევნების დღის მოახლოებასთან ერთად გააძლიერებს: „ეს არის შანტაჟი, უცხოეთის ჩარევაზე სწორედ ეს ფაქტები მეტყველებს.“
- ორი ოპოზიციური პარტიის ლიდერის, მამუკა ხაზარაძისა და გიორგი გახარიას, შესაძლო გაერთიანებაზე [საუბრისას](#), პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ განაცხადა, რომ ხაზარაძესა და გახარიას ერთმანეთისთვის არაერთხელ მიუყენებიათ შეურაცხყოფა და მოლაპარაკებები გაერთიანების შესახებ მხოლოდ მათ უპრინციპობაზე მეტყველებს. ამასთანავე, **ხაზარაძე და გახარია გარე დავალებებს ასრულებენ და მათ გარე ძალები აკონტროლებენ.** აღნიშნული მტკიცებისთვის მეტი ლეგიტიმურობის შესაძენად, სამთავრობო არხმა „იმედმა“ [გაავრცელა](#) ფოტო, რომელზეც გიორგი გახარია და

„საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტი საქართველოს“ (IRI საქართველო) ხელმძღვანელი, ჯონი დიპირო, არიან აღბეჭდილნი. „იმედის“ მტკიცებით, დიპირომ განხარია დატუქსა ხაზარაძესთან ჩაშლილი მოლაპარაკებების გამო.

- შალვა პაპუაშვილი [ირწმუნებოდა](#), რომ **რაც უფრო ნათელი ხდება ოპოზიციის უუნარობა, მით უფრო იზრდება გარედან საარჩევნო პროცესში ჩარევის სიხშირე და სიმწვავე.** უცხოური პროპაგანდა არავითარ შემთხვევაში შეიძლება მიიჩნეოდეს, როგორც თავისუფალი და თანასწორი საარჩევნო გარემოს წინაპირობა.

### **პროპაგანდის თანახმად, დასავლეთი საქართველოში შემოდწევას „ღებტ პროპაგანდით“ ცდილობს**

გასულ დღეებში, მორიგი პროპაგანდისტული თემა „უცხოური ძალების მიერ საქართველოში ღებტ პროპაგანდით შემოდწევა“ იყო. აღნიშნული რიტორიკა განსაკუთრებით განვითარდა მას შემდეგ, რაც მმართველმა პარტიამ [მესამე მოსმენით მიიღო](#) ღებტქი+ თემის უფლებათა შემზღუდავი კანონი „ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანის დაცვის შესახებ.“ საკანონმდებლო ცვლილებები გააკრიტიკეს [გერმანიის კანცლერმა](#), საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში [ევროკავშირის უმაღლესმა წარმომადგენელმა](#) და აშშ-ის [სახელმწიფო მდივნის თანაშემწემ](#) ევროპისა და ევრაზიის საკითხებში.

- კრიტიკაზე საპასუხოდ, პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ [განაცხადა](#), რომ კანონი „უმარტივეს რამეს“ აწესრიგებს - **რომ კაცი უნდა იყოს კაცი და ქალი უნდა იყოს ქალი.** პრემიერ-მინისტრისთვის გაუგებარია, რომ მიუხედავად ამ სიმარტივისა, აღნიშნულ კანონპროექტსაც „რუსული“ შეარქვეს. „არ შეიძლება ქართული საზოგადოების აღქმაში ევროპა ასოცირდებოდეს გაუმჭვირვალობასა და ღებტ პროპაგანდასთან,“ - აღნიშნა ირაკლი კობახიძემ და განმარტა, რომ კანონის კრიტიკა ევროკავშირის აღქმას დააზიანებს.
- საარჩევნო კამპანიის ღონისძიებაზე, რუსთავეში, პარლამენტის თავმჯდომარემ [განაცხადა](#), რომ საქართველოს ფიზიკურ მტრებთან წინააღმდეგობის გარდა, იდენტობის შენარჩუნებისთვისაც უწევს ბრძოლა. **„უნდათ, რომ სწორედ ეს იდენტობა გამოგვაცალონ**, რომ არც კი ვიცოდეთ, ვინ ვართ, ვისი გორისანი ვართ. რომ მერე თავად გვითხრან, ვინ უნდა ვიყოთ, რა გვწამდეს, ვის დრომაზე უნდა დავიფიცოთ,“ - აღნიშნა შალვა პაპუაშვილმა.
- მოძრაობა „ხალხის ძალის“ ლიდერი გურამ მაჭარაშვილი [ირწმუნებოდა](#), რომ **უცხოური ძალების მიერ თავსმოხვეული ანტიქართული და ანტიეკლესიური იდეოლოგიის წყალობით**, სამტკიცებელი გახდა ჭეშმარიტება, რომ ქალი ქალია და კაცი - კაცი; რომ ეკლესია ქვეყნის ისტორიაში უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს.
- სამთავრობო არხმა POSTV-მ გამოაქვეყნა მოკლემეტრაჟიანი ფილმი სახელწოდებით „საღვთო ბრძოლა სამყაროს გადასარჩენად,“ რომელშიც [ხაზგასმულია](#), თუ როგორ ცდილობს დასავლეთი საქართველოში შემოდწევას „ღებტ პროპაგანდით“, რომელიც ძირს უთხრის სარწმუნოებასა და ტრადიციული ოჯახის საფუძვლებს. არხის თანახმად, მიუხედავად „ენმ-ის“ შეცდომებისა, დასავლეთი წინა ხელისუფლებას არასოდეს დამუქრებია სანქციებით და არასოდეს დაუდანაშაულებია ქვეყნის დასავლეთისგან ჩამოშორებაში. თუმცა **დასავლეთი „ქართულ ოცნებას“ აკრიტიკებს, რადგან**



**საქართველოს ამჟამინდელი ხელისუფლება არ ემორჩილება ზეწოლას და ტრადიციული ღირებულებების დაცვას განაგრძობს.** მოლდოვა არ უშვებდა ლგბტ ღონისძიებების მოწყობას, თუმცა პოზიციის დათმობა ბრიუსელის ზეწოლის გამო მოუწია. გეგმა საქართველოშიც იგივეა. საბოლოო ჯამში, ფილმი დასავლეთს ქართული იდენტობისა და რწმენისთვის საფრთხის შემცველად წარმოაჩენს.

ის ახალი სეგმენტი, „ევროკრატია,“ რომელიც ანტიდასავლურ ნარატივებს აღვივებს და ევროკავშირს სუსტ, უსამართლო და არასანდო მხარედ წარმოაჩენს, „ლგბტ პროპაგანდასთან“ დაკავშირებით მორიგი ფილმი გამოუშვა. ფილმის თანახმად, „უცხოურმა ძალებმა“ [იგულისხმება დასავლეთი] ოპოზიციას დაავალა, კანონპროექტი გაეკრიტიკებინა. თუმცა, ვინაიდან ოპოზიციურმა პარტიებმა იციან, რომ მოსახლეობის საპარლამენტო სხდომების ბოიკოტი გამოეცხადებინათ, რათა არც მხარდამჭერები გაებრაზებინათ და არც - უცხოელი მფარველები. ფილმის ანტი-ლგბტ ნარატივი „მეორე ფრონტის“ გზავნილს ებმის - თითქოს, მმართველი პარტია და უშუალოდ ბიძინა ივანიშვილი საქართველოს ომისგან და „ლგბტ პროპაგანდისგან“ იცავენ, ოპოზიციას კი ამავდროულად „უცხოური ძალები“ აკონტროლებენ, რომელთაც საქართველოს გეოპოლიტიკურ იარაღად გამოყენება და „ლგბტ პროპაგანდის“ გავრცელება აინტერესებთ.

- „ერთიანი ნეიტრალური საქართველოს“ მტკიცებით, საქართველოს მთავრობას დასავლელი მატალჩინოსნები თავს ესხმიან, რადგან „**დიპ სტიტს“ [აშშ და ევროკავშირი] „ლგბტ პროპაგანდის“ გავრცელება სურს.** თუმცა „ქართული ოცნება“ უცხოეთის მითითებებს არ ასრულებს და ოჯახურ ღირებულებებსა და არასრულწლოვანებს მავნე გავლენებისგან იცავს.
- ერთ-ერთ სამთავრობო ვებგვერდზე გამოქვეყნებულ სტატიაში, რომელიც Facebook-ზეც დარეკლამდა, აღნიშნულია, რომ ოპოზიციის „**დასავლელმა სპონსორებმა“ [აშშ და ევროკავშირი]** კანონპროექტის პარლამენტში წარდგენისთანავე განგაში ატეხეს, **არ გაითვალისწინეს ქართველთა უმრავლესობის ინტერესები და უფლებები.** პარიზის ოლიმპიურმა თამაშებმა ნათლად აჩვენა ფასეულობები, რომელთათვისაც დასავლეთი იბრძვის: მაშინ, როდესაც ორგანიზატორები ტრანსგენდერებს მხარს უჭერდნენ, სერბი ძიუდოისტი, რომელმაც ტატამიზე გასვლამდე პირჯვარი გადაიწერა, ხუთი თვით იქნა დისკვალიფიცირებული. „საქართველოში არსებული ხელისუფლების წყალობით, ლგბტ პროპაგანდის გავრცელების შეჩერება შესაძლებელი იქნება,“ - წერია სტატიაში.
- ანონიმური სამთავრობო ანგარიშის პოსტში ვკითხულობთ: „ევროკავშირი საქართველოს მხოლოდ იმიტომ აკრიტიკებს, რომ ოჯახს, მომავალ თაობებს და ტრადიციულ ღირებულებებს იცავს.“
- „ალტ-ინფოს“ ექსპერტი, ალექსანდრე ფალავანდიშვილი, ირწმუნებოდა, რომ ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II „**ლგბტ ადამიანებს კლავდა და აწამებდა.**“ ფალავანდიშვილის მტკიცებით, ეს ჩვენი ისტორიაა და ტოლერანტობას არ იმსახურებენ ის ადამიანები, რომლებიც ცოდვებს არ მალავენ. ასევე, მიხაელ როთზე, გერმანიის ბუნდესტაგის საგარეო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარეზე, საუბრისას, პროპაგანდისტმა აღნიშნა, რომ

გერმანელი პოლიტიკოსი კიდევ ერთი მაგალითია, თუ რატომ უნდა აირიდოს თავიდან საქართველომ „ევროპეიზაცია“ და დაიცვას ქრისტიანობა.

- „ალტ-ინფოს“ ეთერში, მორიგი პროპაგანდისტი [ამბობდა](#), რომ „**ლგბტ პროპაგანდა**“ **გლობალისტების იარაღია** მოსახლეობის შესამცირებლად. პროპაგანდისტი კონსპირირებდა, რომ გლობალისტებმა აღნიშნული „იარაღი“ უკვე წარმატებით გამოიყენეს ევროპაში, ახლა კი საქართველოს ემუქრება იგივე საფრთხე.
- ევგენი პრიმაკოვის სახელობის ქართულ-რუსული საზოგადოებრივი ცენტრის ხელმძღვანელი [დიმიტრი ლორთქიფანიძე](#) და კიდევ ერთი პრორუსი პროპაგანდისტი ტელეკომპანია „სეზონის“ ეთერში [საუბრობდნენ](#), თუ როგორ იყო ქართველი ტრანსგენდერი ქალის, კესარია აბრამიძის, მკვლელობა **ინსპირირებული ან დაგეგმილი დასავლეთის მიერ**, რათა მოსახლეობას ანტი-ლგბტ კანონის გაკრიტიკების შესაძლებლობა მისცემოდა. „ფაქტია, "საკრალური მსხვერპლი" ხელს უხსნის კოლექტიურ როტს ახალი პოლიტიკური სპეკულაციებისთვის წინასაარჩევნოდ, რაც უკვე სახეზეა!!!“ - წერს ლორთქიფანიძე პირად Facebook გვერდზე.

#### „ალტ-ინფოს“ შეფასებით, აშშ-ის სანქციები „ლგბტ პროპაგანდაზე“ გამარჯვების ნიშანია

- კონსტანტინე მორგოშია, აშშ-ის მიერ სანქცირებულთა სიის ერთ-ერთი წევრი და პრორუსული ძალადობრივი ჯგუფის, „ალტ-ინფოს“ ლიდერი, Facebook-ზე [წერდა](#), რომ მისი სანქცირების მიზეზი „სოდომიის ზეიმისგან“ ქვეყნის დაცვა და ქრისტიანული ჯვრის აღმართვა გახდა, რომელიც „საქართველოში ლიბერალური დიქტატურის გამარჯვების სიმბოლოდ იქცა“ [2021 წლის 5 ივლისს, ჟურნალისტებსა და არასამთავრობო ორგანიზაციების ოფისებზე თავდასხმის შემდეგ, „ალტ-ინფოს“ წევრებმა პარლამენტის შენობის წინ ჯვარი [აღმართეს](#)].
- „ალტ-ინფოს“ კიდევ ერთი სანქცირებული ლიდერის, ზურაბ მახარაძის [განცხადებით](#), არ არსებობს უფრო დიდი ჯილდო ეროვნული, პოლიტიკური პოზიციის მქონე ქართველისთვის, ვიდრე ის, რაც აშშ-სგან მიიღო და ამ „ჯილდოს“ „ალტ-ინფოს“ ჯგუფთან იზიარებს. ზურაბ მახარაძის შეფასებით, მისი და მორგოშიას სანქცირების მიზეზი გახდა ის, რომ მათ „არ დაუშვეს, ქაშვეთის ეკლესიის წინ გამართულიყო ლგბტ ღონისძიება.“
- „ალტ-ინფოს“ ექსპერტი [ირწმუნებოდა](#), რომ ეროვნული ძალების წინააღმდეგ ნადირობაა გამოცხადებული, „ალტ-ინფო“ კი ამ ძალებს შორის მოწინავეა. აშშ-ის სანქციები ნიშნავს, რომ „ალტ-ინფომ“ და „კონსერვატიულმა მოძრაობამ“ წარმატებით გადაარჩინეს ქართული ეკლესია და იდენტობა, როდესაც ქვეყანას ლიბერალ-დემოკრატიები უტევდნენ. კონსტანტინე მორგოშიასა და ზურაბ მახარაძის განსაკუთრებული დამსახურებაა, რომ ქართველი ერის ღირსება და პატიოსნება გადარჩა.
- „ალტ-ინფოს“ მორიგი წევრის [მტკიცებით](#), მორგოშია და მახარაძე დასანქცირდნენ, რადგან აშშ-მა იცის, რომ ისინი ხელს უშლიან დასავლეთის გეგმებს, საქართველოში არეულობა გააჩინონ და არჩევნების შემდეგ სახელმწიფო გადატრიალება მოაწყონ.
- ზურა ზუკაკიშვილის, „ალტ-ინფოს“ ჯგუფის აქტიური წევრის, [თქმით](#), „ალტ-ინფო“ დაასანქცირეს, რადგან 1. ჯგუფმა არ დაუშვა, საქართველოში ჩატარებულიყო ლგბტ

დონისძიება, რომელიც დასავლეთისთვის ქართული იდენტობის კაპიტულაციის ტოლფასი იქნებოდა; 2. „ალტ-ინფო“ თავს უყრის ადამიანებს, რომლებიც ებრძვიან დასავლეთის შესაძლო გეგმას, საქართველოშიც მოაწყოს „მაიდანის რევოლუციის“ მსგავსი სცენარი.

- მორიგი პროპაგანდისტის [მტკიცებით](#), აშშ-ის სანქციები ადასტურებს ვაშინგტონის შიშს, რომ საქართველო აღარ აპირებს, დაემორჩილოს აშშ-ის გეოპოლიტიკურ ინტერესებს და საბოლოოდ განდევნის დასავლურ ძალებს ქვეყნის შიდა დღის წესრიგიდან.